სახელმწიფო შესყიდვის
ხელშეკრულება #GEDF-01-1305-01

ქ. თბილისი **13 მაისი, 2013 წელი**

ერთის მხრივ, **სს "საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი"** (შემდეგ – "შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის, **გიორგი ბეჟუაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს "ბეტა"** (შემდეგ – "მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის **გიორგი კაპანაძის** სახით ,ვმოქმედებთ რა, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული 2011 წლის 7 სექტემბრის დადგენილება №337, სპეციალური შესყიდვების წესის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია კომპიუტერული მოწყობილობების ტექნიკური მომსახურება **(CPV50312000)** (შემდეგ – "მომსახურება").

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს "შემსყიდველს" ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურება და მასთან დაკავშირებული აუცილებელი დოკუმენტაცია.

2.2. "მიმწოდებელი" უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და პირობებით მიიღოს მომსახურების საფასური.

2.3. "შემსყიდველი" ვალდებულია დროულად და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გადაიხადოს მომსახურების საფასური.

2.4. "შემსყიდველი" უფლებამოსილია მოსთხოვოს "მიმწოდებელს" მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში გადაცემა.

3. მომსახურების მიწოდების და მიღება-ჩაბარების პირობები

3.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია მიაწოდოს "შემსყიდველს" მომსახურება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

3.2. „მომსახურების" გადმოცემისას "მიმწოდებელსა" და "შემსყიდველს" შორის ფორმდება „მომსახურების" მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა მიერ უფლებამოსილი პირები.

3.3. "შემსყიდველი" უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო „მომსახურების" მიღებაზე.

4. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ადგილი

4.1. „მომსახურების" მთლიანი ღირებულება შეადგენს **180** (ას ოთხმოცი) ლარი დღგ-ჩათვლით

4.2. ანგარიშსწორების განსახორციელებლად "მიმწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

4.3. ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ხელშეკრულების 4.2. პუნქტში აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

4.4. ანგარიშსწორების ადგილი: ქ. თბილისი.

5. გარანტია, პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

5.1. "მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით მითითებულ „მომსახურებას" არ გააჩნია რაიმე ნაკლი. წინააღმდეგ შემთხვევაში, "მიმწოდებელი" თავისი ხარჯითა და პასუხისმგებლობით უზრუნველყოფს არსებული "მომსახურების" შეცვლას ახლით „შემსყიდველის" მიერ ნაკლის გამოვლენის თაობაზე მისთვის („მიმწოდებლისთვის") გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღისა.

5.2. „მომსახურების" ნაკლის გამო წარმოშობილი პრეტენზიის წარდგენის პირობები, ისევე როგორც სხვა ურთიერთობები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

5.3. „მომსახურების" დაგვიანებით მიწოდების შემთხვევაში "მიმწოდებელი" ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო მოთხოვნილი მოუწოდებელი „მომსახურების" ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული კალენდარული დღისთვის.

5.4. "შემსყიდველის" მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელს" უფლება აქვს დააკისროს „შემსყიდველს" პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგაცილებულ სამუშაო დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.
5.5. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვეს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.
5.6. მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი დარღვევის და/ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობით მიუთითოს მას აღნიშნულ გარემოებაზე და მოსთხოვოს მისი გამოსწორება გონივრულ ვადაში (რაც შეტყობინების სახით ეგზავნება მეორე მხარეს), ხოლო შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება აღნიშნული შეტყობინების გარეშეც.
5.7. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
5.8. „მიმწოდებლის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მის მიერ ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.
5.9. ხელშეკრულებიდან ვადამდე გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.

6. მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

6.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე, გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).
6.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) დღისა წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების და მისი აღმოფხვრის სავარაუდო ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარე არ თავისუფლდება ხელშეკრულების ნაწილობრივ და/ან სრული შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.
6.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.
6.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით
7.2. "მიმწოდებელთან" დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად "შემსყიდველისთვის" იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
8.2. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ვალდებულებების ამოწურვამდე.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. წინამდებარე სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით.
9.2. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

10. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

10.1. ''მიმწოდებელი'' იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული ''მომსახურების'' ხარისხი პასუხობს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
10.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

11. დასკვნითი დებულებები

11.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლის, პუქნტის ან/და დებულების ბათილად ან/და ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანარჩენი მუხლების, პუნქტების ან/და დებულებების ნამდვილობაზე.

11.3. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით.

11.4. მხარეთა მიერ ხელმოწერილი წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი და/ან ცვლილება და/ან დამატება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება/დამატება/დანართი იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის შემდეგ.

12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

"შემსყიდველი" **სს "საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი"** ფიზიკური მის: ქ. თბილისი, სანაპიროს #2 ს/კ: 404391975 სს "კორ სტანდარტ ბანკი" ბ/კ: **KSBGGE22** ა/ა **GE56KS0000000360300004** **დირექტორი** **გ. ბეჟუაშვილი**	**"მიმწოდებელი"** **შპს " ბეტა"** მის: ქ. თბილისი, ბ.ხმელნიცკის ქ. 48, კორპ 3ა ბინა 39 ს/კ: 406054031 სს „საქართველოს ბანკი" ბ/კ :BAGAGE22 ა/ა GE59BG0000000346485300 **გ.კაპანაძე**